საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/148 „ 12 " მარტი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე შ. ბიჭიას გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოში მივლინების შესახებ

2017 წლის 6 დეკემბრიდან გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოში საქმეთა განსახილველად მივლინებულ იქნა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე მანუჩარ ცაცუა. მ. ცაცუა, გარდა მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილებისა, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებს ასევე რაიონულ სასამართლოში და იხილავს სამოქალაქო სპეციალიზაციის საქმეებს. ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში მისი დატვირთულობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოში საქმეთა განსახილველად მივლინებულ იქნეს მეორე მოსამართლეც.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37^1 მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით, გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვერჩელის რაიონულ სასამართლოში, მოსამართლის მივლინების მიზნით, უფლებამოსილების განხორციელების წინადადებით მიემართათ ტერიტორიულად ყველაზე ახლოს მდებარე ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლეებს. მიღებულ იქნა მოსამართლე შოთა ბიჭიას თანხმობა მივლინებასთან დაკავშირებით. აღნიშნული მივლინება არ გამოიწვევს მოსამართლის სამუშაო ადგილის ცვლილებას, რადგან გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლო განთავსებულია ზუგდიდის რაიონული სასამართლოს შენობაში.

ვინაიდან შ. ბიჭიას მივლინების შემდეგ გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოში უფლებამოსილებას ორი მოსამართლე განახორციელებს, აუცილებელია განისაზღვროს მოსამართლეთა სპეციალიზაცია. ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში განსაზღვრული სპეციალიზაციის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოშიც შ. ბიჭიამ განიხილოს სისხლის სამართლის საქმეები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 37^1 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე შოთა ბიჭია მივლინებულ იქნეს გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოში სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად, 2018 წლის 13 მარტიდან 2019 წლის 13 მარტამდე.

2. შოთა ბიჭიამ იმავდროულად მოსამართლის უფლებამოსილება განახორციელოს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი